ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 649

23 დეკემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ ფართობისა (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.027) და 58 კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.028) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/ნ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ. ფართობისა (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.027) და 58 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.028) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/ნ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 დეკემბრის №22.1847.1991 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ. ფართობის ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.027) და ქ.თბილიში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 58 კვ.მ ფართობის ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/ნ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 280 (ჩვიდმეტი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე